KA030131418115117

№ 01-20387 **21 / სექტემბერი / 2017 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის ნოე ქინქლაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ განვიხილეთ ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მიმდინარე წლის 20 სექტემბრის N01-20362 წერილი, რომლითაც ითხოვს „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 იანვრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ:

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ -საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი სამედიცინო ბრიგადების მეშვეობით უზრუნველყოფს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიწოდებას სასწრაფო დახმარების ბაზისური მედიკამენტებით, ბაზისური სამედიცინო დანიშნულების საგნებით და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს პაციენტების ჰოსპიტალიზაციას შესაბამისი პროფილის უახლოეს კლინიკაში.

ამასთან, მაღალმთიან რეგიონებში რთული კლიმატური ან/და რელიეფური თავისებურების გათვალისწინებით, ყოველდღიურ რეჟიმში, შეუძლებელი ხდება არსებული სასწრაფო დახმარების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების მიწოდება. პრობლემის გადაჭრისათვის საჭიროა დამატებით შესაბამისი ტექნიკით (უნივერსალური გასაშლელი საკაცე, საკაცის საკეტი, სათადარიგო საკაცე, საიმობილიზაციო ფარი, ჟანგბადის ბალონი საფიქსაციო კომპლექტითა და რედუქტორით, ჟანგბადის წნევის რეგულატორი, კარადები, ცეცხლმაქრი, გადასხმის სისტემის საკიდი, სათადარიგო საბურავი, სპეციალიზირებული სტიკერები და ა.შ.) აღჭურვილი 12 ერთეული სპეციალიზირებული მაღალი გამავლობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომობილის შესყიდვა, რისთვისაც პროექტში გათვალისწინებულია 1 528.8 ათასი ლარი (სავარაუდო ღირებულება).

ასევე, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წელს, განხორციელდა 10 ერთეული რეანიმობილის შესყიდვა. გამომდინარე იქედან, რომ ქვეყანაში დადგა ახალშობილების (28 დღემდე ასაკის) ტრანსპორტირების პრობლემა, მიზანშეწონილია სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანების ნაწილი აღიჭურვოს ნეონატოლოგიური სატრანსპორტო ინკუბატორებით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჭიროა 5 ერთეული ახალშობილთა სატრანსპორტო კიუვეზისა და 5 ერთეული კუივეზთან თავსებადი ფილტვის ხელოვნური ვენტილაციის აპარატის შესყიდვა. შესყიდვისათვის პროექტში გათვალისწინებულია სავარაუდო ღირებულება 208.0 ათასი ლარი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოგახსენებათ, რომ სსიპ-საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი სამედიცინო მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით 206 სამედიცინო ბრიგადის მეშვეობით. თანამშრომლები მორიგეობას ასრულებენ სპეციალური უნიფორმებით, რომლებიც საკმაოდ მოძველდა, საჭიროა დიზაინის ცვლილება და შესაბამისად სრული განახლება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია განხორციელდეს ახალი უნიფორმების შესყიდვა, რომლისთვისაც პროექტში გათვალისწინებულია სავარაუდო ღირებულება 778.4 ათასი ლარი.

შესყიდვები განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების განსახორციელებლად „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 იანვრის N32 დადგენილებით გათვალისწინებული **პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 16 031.1 ათას ლარს.**

წარმოგიდგენთ „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2017 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 იანვრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტს.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს აღნიშნული დადგენილების პროექტის მიღებისათვის/გამოცემისათვის საჭირო ღონისძიებების უზრუნველყოფა.

პატივისცემით,

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, ნოე ქინქლაძე
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი